საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1687 2012 წლის 5 სექტემბერი ქ. თბილისი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების
2012-2017 წლების სტრატეგიის
დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ს“ ქვეპუნქტისა და ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის 2011 წლის 14 ნოემბრის დაფინანსების ხელშეკრულების („საქართველოს რეგიონული განვითარების რეფორმის მხარდაჭერა“) მე-2 დანართის (ტექნიკური და ადმინისტრაციული დებულებები) შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების 2012-2017 წლების სტრატეგია“.

პრემიერ-მინისტრი გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა **ივანე მერაბიშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2012 წლის 5 სექტემბერი
№ 1687 განკარგულებით

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების

2012-2017 წლების სტრატეგია

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი
N

საძიებელი

1. შესავალი.....
2. რეგიონის ზოგადი პრეზენტაცია.....
3. რეგიონის განვითარების ანალიზი და შეფასება.....
   3.1 მოსახლეობა: დასაქმება, დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები.....
   3.2 რეგიონული ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა, მეწარმეობის განვითარება.....
   ა) ეკონომიკისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.....
   ბ) სოფლის მეურნეობა.....
   გ) ტურიზმი.....
   დ) სოციალური განვითარება, მათ შორის, ჯანმრთელობა, განათლება, სოციალური მდგომარეობა.....
   ე) ბუნებრივი რესურსების მართვა და გარემოს დაცვა.....
4. რეგიონის განვითარების ხედვა, მიზნები, ამოცანები, პრიორიტეტები, ინდიკატორები და რეგიონის განვითარების წინადადებები.....
5. მონიტორინგის ცხრილი.....

1. შესავალი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია (შემდგომში – სტრატეგია) შემუშავებულია საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის განსაზღვრული პრინციპებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

სტრატეგია შემუშავდა სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის უფლებამოსილების საზღვრებში შემავალი თვითმმართველი ერთეულების მიხედვით. იგი მოიცავს დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას.

სტრატეგია ასახავს არსებულ ვითარებასა და იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება რეგიონის განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა.

სტრატეგიის შემუშავება მიზნად ისახავს მოცემულ რეგიონში არსებული პოტენციალის განსაზღვრასა და წინადადებების შეთავაზებას შემდეგი შედეგების მისაღწევად:

- რეგიონში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
- ინვესტიციების წახალისება;
- რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- გარემოსა და ეკოლოგიური ბალანსის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება.

სტრატეგია მოიცავს ყველა იმ ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ პრიორიტეტს, რომელიც რეგიონის მასშტაბით არსებობს, ასევე ყველა იმ რესურსს, რომელიც ამ მიმართულებით იქნება გამოყოფილი. სტრატეგია მოიცავს, აგრეთვე, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და ბუნებრივი გარემოს განვითარების ამოცანებსა და პრიორიტეტებს.

2. რეგიონის ზოგადი პრეზენტაცია

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში. მისი ტერიტორიის საერთო ფართობია – 5,8 ათასი კვ.კმ, საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 8,3%, მოსახლეობის სიმჭიდროვე – 1 კვ. კმ-ზე 18,8 კაცი. რეგიონი მოიცავს: დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებს, მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მცხეთა. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და საქართველოს დედაქალაქს – თბილისს შორის 24 კილომეტრია.

მცხეთა-მთიანეთს ესაზღვრება შიდა ქართლის და კახეთის რეგიონები, ქ. თბილისი და რუსეთის ფედერაცია. რეგიონში არის ორი ქალაქი (მცხეთა და დუშეთი), ხუთი დაბა (ჟინვალი, ფასანაური, თიანეთი, სიონი, სტეფანწმინდა) და 483 სოფელი.

რეგიონის უმეტესი ნაწილი მთაგორიანია, რომლის 1/3 ტყითაა დაფარული, რეგიონში დიდი ტერიტორია უკავია სუბ-ალპურსა და ალპურ ზონებს. მაღალმთიანი ტერიტორია ზღვის დონიდან 900-1400 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

რეგიონის კლიმატი ხასიათდება ზომიერად ნოტიო ჰავით, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურა 10-12°C-ია. იანვრის საშუალო ტემპერატურა – 2°C, ხოლო ივლისის – +24-28°C. ჰავა მკვეთრად განსხვავებულია მაღალმთიან ზონაში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტში). აქ წლის საშუალო ტემპერატურაა 5°C.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობა 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 109 700 კაცს.

რეგიონის წყლის ძირითადი არტერიებია მდინარეები: არაგვი, მტკვარი, თერგი, იორი, ქსანი.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებს სახელმწიფო რწმუნებული – გუბარნატორი. მისი ფუნქციებია: რეგიონის მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების მობილიზაცია; რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ორგანიზება; ინვესტიციების მოზიდვისა და რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა; ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა.

რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა) ორგანოების მიერ.

3. რეგიონის განვითარების ანალიზი და შეფასება

3.1. მოსახლეობა: დასაქმება, დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის რაოდენობა 125 400 კაცს შეადგენდა. 2008-2012 წლების განმავლობაში (1 იანვრის მდგომარეობით) რეგიონის მოსახლეობა 4.5 ათასი კაცით გაიზარდა და წელს 109 700 მცხოვრები შეადგინა, აქედან, ყველაზე მეტი – 57 600 კაცი (რეგიონის მოსახლეობის 56%) – ცხოვრობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, ყველაზე ნაკლები, 4900 კაცი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (6%).

ცხრილი 1

მოსახლეობის რაოდენობა მცხეთა-მთიანეთში, ათასი კაცი (1 იანვრის მდგომარეობით)

	2002 (აღწ.)	2007	2008	2009	2010	2011	2012
მცხეთა-მთიანეთი	125,4	124,1	105,2	105,2	108,8	109,3	109,7
დუშეთის მუნიციპალიტეტი	33,6	33,3	33,1	33,1	33,8	34,0	34,1
თიანეთის მუნიციპალიტეტი	14,0	13,3	13,1	13,1	13,2	13,1	13,1
მცხეთის მუნიციპალიტეტი	64,8	65,0	46,5	46,5	56,9	57,3	57,6
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	5,3	4,9	4,9	4,9	4,9	4,9	4,9

რეგიონის მთლიან მოსახლეობაში სოფლად მცხოვრებთა ხვედრითი წილი 83,6 პროცენტს შეადგენს.

მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება 2008 წელს წინა წელთან შედარებით (18 900 კაცით) 15,2%-ით გამოწვეულია აღნიშნულ პერიოდში მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილის თბილისთან მიერთებით.

2008 წლიდან მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის რიცხოვნობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2009-2010 წლებში იგი 3 600 კაცით გაიზარდა. ამავე პერიოდში, მცხეთის მუნიციპალიტეტი 10 400 კაცითაა გაზრდილი, რაც გამოწვეულია 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ახალგორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპაციით და იქ მცხოვრებთა ეთნიკურ ნიადაგზე დევნით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

ცხრილი 2

შობადობა, მოკვდაობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატება მცხეთა-მთიანეთში

წლები	სულ, კაცი			მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით		
	დაიბადა	**გარდაიცვალა**	**ბუნებრივი მატება (+) კლება (-)**	**შობადობა** პრომილე	**მოკვდაობა** პრომილე	ბუნებრივი მატება (+) კლება (-)
2002	983	1434	**-451**	7,8	11,4	-3,6
2007	1258	1200	**+58**	10,1	9,7	+0,4
2008	1411	1242	**+169**	13,4	11,8	+1,6
2009	1465	1280	**+185**	13,9	12,2	+1,7
2010	1425	1366	**+59**	13,1	12,5	+0,6
2011	1364	1437	-73	12,4	13,1	-0,7

2002-2010 წლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაფიქსირდა ბუნებრივი მატების ზრდა. ამასთან, რეგიონში შობადობის კოეფიციენტი (დაბადებულები 1000 კაცზე გაანგარიშებით) განუხრელად იზრდებოდა შესაბამისად 7,8-იდან 13,9 პრომილემდე. 2011 წელს ამ მაჩვენებელმა 12,4 პრომილე შეადგინა.

2002-2011 წწ. ქორწინებათა რაოდენობა თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა (248-იდან 665-მდე) და ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით 1,9-იდან 6,1 პრომილე შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში განქორწინების კოეფიციენტი 0,3-იდან 1,1 პრომილემდე გაიზარდა, თუმცა ეს მაჩვენებელი ჩამორჩება ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს (2011 წლისათვის – 1,3 პრომილე).

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2008 წლის ომის შემდგომ მკვეთრად გაიზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა (10 000-ზე მეტი), რაც რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით 9%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით მცხეთა-მთიანეთის რეგიონი არ განიცდის გარე მიგრაციის პრობლემას, პირიქით, რეგიონს მიგრაციის დადებითი სალდო აქვს (მიუხედავად მცირეოდენი ბუნებრივი მატებისა, რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა უფრო მეტად იზრდება სწორედ მიგრაციის ხარჯზე, გამონაკლისია მხოლოდ 2006-2007 წწ., როდესაც მოსახლეობის რაოდენობა 400 კაცით შემცირდა).

რეგიონი გამოირჩევა მცირე მოსახლიანი სოფლების სიმრავლით. მთელს რეგიონში მხოლოდ ერთი სოფელია 5 000 მოსახლით, ისიც მცხეთის მუნიციპალიტეტში. რეგიონის მასშტაბით 50 სოფელში ცხოვრობს 10-ზე ნაკლები კაცი.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ძირითად მოსახლეობას ეთნიკურად ქართველები შეადგენენ.

მცხეთის მუნიციპალიტეტის რიგი სოფლები კომპაქტურადაა დასახლებული ეროვნული უმცირესობებით (ოსები, რუსები, ასირიელები, სომხები).

შრომის ბაზარი

დასაქმების პრობლემა კვლავ გამოწვევაა როგორც ქვეყნის, ისე მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვისაც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ოფიციალური სტატისტიკის შესაბამისად 2011 წელს საქართველოში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 2010 წელთან შედარებით 1,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15,1% შეადგინა. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში უმუშევრობის დონე ამავე წელს 1,8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7,1% შეადგინა, ხოლო დასაქმების დონე – 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 65.6% შეადგინა. უმუშევრობის დაბალი დონე ქვეყნის უმუშევრობის დონესთან შედარებით განპირობებულია სოფლის მოსახლეობის მაღალი წილით, რომელიც საკუთარ მეურნეობებშია თვითდასაქმებული. 2011 წელს რეგიონში დაფიქსირდა აქტიურობისა და დასაქმების მაღალი დონე ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში ერთადაა მოცემული მცხეთა-მთიანეთის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მაჩვენებლები. ვინაიდან მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა თითქმის იდენტურია აღნიშნულ რეგიონებში, პროცენტული მაჩვენებლები შეიძლება განზოგადდეს მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე.

დიაგრამა 1

დასაქმების დონე საქართველოსა და მცხეთა-მთიანეთში 2006-2011 წლებში (%)



ტრადიციულად, დასაქმებულებში მნიშვნელოვნად ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეწევა შრომით საქმიანობას საკუთარ მეურნეობაში.

დიაგრამა 2

2006-2011 წლებში დასაქმებულთა და დაქირავებულთა რაოდენობა
მცხეთა მთიანეთში (კაცი)



	2006	2007	2008	2009	2010	2011
დასაქმებული	7.248	5.511	4.346	4.88	4.587	3.774
დაქირავებული	6.697	5.194	4.062	4.582	4.279	3.489

დასაქმების არსებული დონე დაკავშირებულია სამუშაო ადგილების სიმცირესთან. უმუშევრობას ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების დეფიციტი.

3.2. რეგიონული ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა, მეწარმეობის განვითარება

ა) ეკონომიკისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება

ბიზნეს რეგისტრის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2011 წლის 11 სექტემბრის მდგომარეობით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში რეგისტრირებული იყო 7974 სუბიექტი, რაც საქართველოში რეგისტრირებულ სუბიექტთა მთლიანი რაოდენობის 2,1%-ს შეადგენს.

ცხრილი 3

რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა რეგიონში 2002-2011 წლებში	

	2002 წ.	2003 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.	2011 წ.
მცხეთა-მთიანეთი	3571	3957	4387	4831	5229	8000

რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა 2002-2011 წლებში მკვეთრად გაიზარდა, 2-ჯერ და მეტად. ეს მიგვანიშნებს მოსახლეობაში არსებულ მისწრაფებაზე სამეწარმეო საქმიანობისადმი.

დიაგრამა 3



2003-2011 წლებში პროდუქციის გამოშვება ძირითადად ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და აღნიშნულ პერიოდში დაახლოებით 3,4-ჯერ (241%-ით) გაიზარდა და 2011 წელს 209.3 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 4



ცხრილი 4

მრეწველობისა და მშენებლობის ბრუნვის მოცულობა (მლნ ლარი)

წლები	საქართველო	მცხეთა-მთიანეთის რეგიონი
1999	1270.4	35.7
2000	1464.8	37.4
2001	1542.7	41.7
2002	1865.8	39.3
2003	2171.2	55.7
2004	2507.1	80.9
2005	3340	83.7
2006	4354	109.8
2007	5966.7	113.6
2008	6049.6	123
2009	6143.7	129.1
2010	7234.4	170.9
სულ	43910.4	1020.8

2003-2011 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა მრეწველობისა და მშენებლობის ბრუნვის მოცულობა, რომელიც აღნიშნულ პერიოდში დაახლოებით 18-ჯერ გაიზარდა და 2011 წლისათვის 1020.8 მლნ ლარი შეადგინა. მცხეთა-მთიანეთის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მრეწველობაზე მოდის. სამრეწველო საწარმოებიდან გამოირჩევა ლუდსახარში „ნატახტარი", ლუდსახარში „ზედაზენი", „აქვა გეო", „შატო მუხრანი", ქსნის მინის ქარხანა, „ბარამბო", „ბერტა", „ფარმა", ქაღალდის წარმოების ქარხანა.

2007-2010 წლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბიზნეს სექტორის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობა 21.2%-ით გაიზარდა და 2011 წელს 45.2 მლნ ლარი შეადგინა.

ცხრილი 5

დამატებული ღირებულების მაჩვენებელი 2006-2010 წწ. (ათასი ლარი)

წლები	საქართველო	მცხეთა-მთიანეთი
2006	3479400	76000
2007	4541800	37300
2008	5162600	31900
2009	5464100	49600
2010	6703200	45200

მთლიანი დამატებული ღირებულების უდიდესი წილი რეგიონის მიხედვით მოდის: მრეწველობაზე, სახელმწიფო მმართველობაზე, სოფლის მეურნეობაზე, ნადირობასა და სატყეო მეურნეობებზე, თევზჭერასა და მეთევზეობაზე.

რეგიონის ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია:

ა) მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, მოსახლეობაში თანამედროვე სამეწარმეო უნარ-ჩვევების დახვეწა;

ბ) პროდუქციის დისტრიბუციის სირთულეების დაძლევა;

გ) პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა.

ცხრილი 6

რეგიონის ბიზნესსექტორის ზოგადი დახასიათება

წელი	საწარმოთა ბრუნვა /მლნ ლარი/	საშ. თვიური შრომის ანაზღაურება /ლარი/
2006	283.0	289.9
2007	139.8	292.3
2008	140.7	375.7
2009	162.5	457.0
2010	204.0	518.4
2011	228.1	663.9

საწარმოთა ბრუნვა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბოლო წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2007-2011 წლებში საწარმოთა ბრუნვა 63%-ით გაიზარდა და 2011 წელს 228.1 მლნ ლარს მიაღწია. დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება კი ამავე პერიოდში 2,3-ჯერ გაიზარდა და 2011 წელს 663.9 ლარი შეადგინა.

დიაგრამა 5

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში განლაგებული ობიექტები



დიაგრამა 6

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ ლარი)



2006-2010 წლებში, რეგიონში მოქმედ საწარმოებში ინვესტიციები ფიქსირებულ კაპიტალში გაიზარდა 3-ჯერ და 2010 წელს 70.0 მლნ ლარი შეადგინა.

გამოკვლეულ იქნა რამდენიმე საწარმო, მათ შორის:

- დიდი საწარმო – სს „მინა", სს „შატო მუხრანი" და სს „აქვა გეო";
- საშუალო საწარმო – წეროვნის პომიდვრის სათბური, ნატახტარის სასაკლაო, მცხეთის ბენზინგასამართი სადგური;
- მცირე საწარმო – სილამაზის სალონი, მცხეთის ბაზარი.

ცხრილი 7

მსხვილი საწარმოები – სს „მინა", სს „შატო მუხრანი" და სს „აქვა გეო"

საწარმო	ფუნქციონირებს	პროფილი	დასაქმ. რაოდენობა	მ.შ., ქალი	ბაზარი
სს „მინა"	1985 წ.	მინის ბოთლის წარმოება			შიდა ბაზრის მოთხოვნის 50%-ს აკმაყოფილებს
სს „შატო მუხრანი"	1990 წ.	ბრენდ ღვინის წარმოება	47	23	ექსპორტი
სს „აქვა გეო"	2011 წ.	სასმელი წყლის წარმოება	155	31	თბილისის ბაზარი
ი.მ. ელგუჯა ნოზაძე	1990 წ.	სახორცე ქათმის წარმოება	35	13	მხოლოდ პოპულისა და გუდვილის ქსელში

ყველა საწარმო აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით.

რეგიონული ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის ფაქტორული ანალიზი

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
• საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების დახმარება; • ნედლეული და მინერალური რესურსები; • ტრადიციები, ცოდნა, კომპეტენციები; • დედაქალაქთან სიახლოვე;	• პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობა ექსპორტის კუთხით – პროდუქცია არ შეესაბამება ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებს; • ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის

• იუნესკოს ძეგლი ქალაქი-მუზეუმი მცხეთა; • მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალი; • ძირითადი ძეგლების ცნობადობა; • სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები ტურიზმის გასავითარებლად; • უძველესი ფოლკლორი და ტრადიციები; • რეგიონზე გამავალი ტრანსკავკასიური გზა; • გეოგრაფიული მრავალფეროვნება; • დაცული და რეკრეაციული ტერიტორიები; • თვითმყოფადი კულტურა, ხელოვნება; • ლიტერატურულ ძეგლთა ავტორების სახლ- მუზეუმები (ვაჟა-ფშაველას, დანიელ ჭონქაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, მირზა გელოვანის და სხვ.); • ხალხური რეწვის ორიგინალური ნიმუშები; • მსოფლიო მნიშვნელობის სამთო კურორტები.	წარმოებისა და გასაღების დაბალი ორგანიზაცია; • შედარებით მოძველებული დანადგარები და ტექნოლოგიები; • რეგიონის ტურიზმის განვითარების არასრულყოფილი მენეჯმენტი; • რეგიონის ტურისტული მარშრუტების მარკეტინგის დაბალი დონე; • ტურისტული საინფორმაციო ცენტრების სიმწირე; • საოჯახო სასტუმროების მომსახურების დაბალი დონე და არასაკმარისობა; • ადგილობრივი გიდების არასაკმარისი ოდენობა; • კულტურულ-გასართობი ღონისძიებების ნაკლებობა; • მარკირებული ტურისტული ბილიკების სიმცირე; • მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის სიმცირე.
შესაძლებლობები: • პროდუქციის ადაპტაცია ევროპული ბაზრის მოთხოვნებთან; • ადგილობრივ ბაზარზე დისტრიბუციის გაუმჯობესება; • მრეწველობის (ხის დამუშავება, პლასტმასის და სამშენებლო მასალების წარმოება, საწარმოო სერვისის სფეროს) განვითარება; • რეგიონში ტურიზმის შემდგომი განვითარება; • რეგიონის ერთიანი ტურისტული სისტემის შექმნა და გზამკვლევის დამზადება; • ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა; • საინფორმაციო ცენტრების შექმნა; • საერთაშორისო და ადგილობრივ ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა; • ბიზნესტურიზმის განვითარება; • მოსახლეობის ინტერესის გაღვივება ტურისტული ბიზნესის მიმართ; • სასტუმროების მშენებლობა; • სუფთა ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნება.	**საფრთხეები:** • ელექტრომატარებლებზე ფასების ზრდა; • საზღვართან სიახლოვე; • სტიქიური მოვლენები.

ინფრასტრუქტურა და კომუნალური სექტორი

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით ცენტრალური ხელისუფლების მიერ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბოლო წლებში განხორციელდა საავტომობილო გზების რეაბილიტაციის ღონისძიებები.

ინფრასტრუქტურის დაზიანებას ხელს უწყობს რთული ბუნებრივი კლიმატი და სტიქიური მოვლენები.

რეგიონსა და მის მუნიციპალიტეტებში, გარდა ადმინისტრაციული ცენტრებისა, სათანადოდ არ ხორციელდება ნარჩენების ორგანიზებული გატანა, ასევე არ არის მოგვარებული ნაგავსაყრელების განთავსების პრობლემაც.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სასმელი წყლის მნიშვნელოვანი დანაკარგებია მოძველებული და დაზიანებული წყალსადენი სისტემის გამო. დასახლებული პუნქტების უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი საკანალიზაციო ქსელით. იმ ქსელების უმრავლესობა კი, რომლებიც ამჟამად ფუნქციონირებს, საჭიროებს რეკონსტრუქციასა და განახლებას. საკანალიზაციო ქსელიდან იკარგება ჩამონადენის დაახლოებით 60-70%, რაც იწვევს გრუნტის წყლების დაბინძურებას.

ზ) სოფლის მეურნეობა

ცხრილი 8

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა სახეების მიხედვით (ჰა)

მცხეთა-მთიანეთი								
N	მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტის ფართობი	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები				არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების	ტყე და ბუჩქნარი
			სახნავი	სათიბი	საძოვარი	მრავალ-წლიანი ნარგავები		
1	დუშეთი	298150	10240	4600	119938	1481	19600	113000
2	თიანეთი	90629	9448	709,6	20173	522	5101	54675
3	მცხეთა	23636	12195	271	7265	3905	308	44617
4	ყაზბეგი	108,7	62,34	3274	42274	215	89,18	4,5
	სულ	**412 523,70**	**31 945,34**	**8 854,60**	**189 650, 00**	**6 123,00**	**25 098,18**	**212 296,50**

დიაგრამა 7



დიაგრამა 8



სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონული გავითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მას რეგიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი და წამყვანი ადგილი უჭირავს. მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს სოფლის მეურნეობის მრავალი მიმართულების განვითარებას, რაც სამომავლოდ შესაძლებლობას მოგვცემს, გავზარდოთ რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყნის შიდა ბაზარზე. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ ეს სექტორი თვითდასაქმების და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა.

საბჭოთა მეურნეობების დაშლის და ბოლო ათწლეულების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოშლის შემდგომ ტრადიციული დარგების შენარჩუნება ხდებოდა შინამეურნეობებში, რომლებიც ძირითადად საკუთარი საოჯახო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იწარმოებოდა. დღეისათვის რეგიონის დონეზე შესაძლებელია განვავითაროთ: მებოსტნეობა, მემცენარეობა, მესათბურეობა, კარტოფილის მეთესლეობა, მეკარტოფილეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და მეაბრეშუმეობა.

ცხრილი 9

მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებები 2012-2017 წლისათვის

მუნიციპალიტეტები	მებოსტნეობა	მემცენარეობა	მესათბურეობა	კარტოფილის მეთესლეობა	მეკარტოფილეობა	მვენახეობა	მეხილეობა	მესაქონლეობა	მეცხვარეობა	მეფრინველეობა	მეფუტკრეობა	მეთევზეობა	მეაბრეშუმეობა	შენიშვნა
მცხეთის მუნიციპალიტეტი	+	+	+	+	-	+	+	+	-	+	+	±	±	11
დუშეთის მუნიციპალიტეტი	±	+	-	-	+	-	+	+	+	-	+	±	±	9
თიანეთის მუნიციპალიტეტი	±	+	-	-	+	-	+	+	+	-	±	±	±	9
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	-	-	-	-	+	-	-	+	+	-	-	±	-	4

მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული მუხრანის ველი საშუალებას იძლევა უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურების, ბოსტნეულის და განსაკუთრებული საჯიშე და საგემოვნე თვისებების ყურძნის წარმოებისათვის. დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში, რელიეფურ-ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალის-წინებით, შესაძლებელია მემცენარეობის, მეკარტოფილეობის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობის კულტურების წარმოება.

დუშეთში, თიანეთში და ყაზბეგში მეკარტოფილეობა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, მესაქონლეობისა და მეცხვარეობის შემდეგ; კარტოფილის მეთესლეობა ერთ-ერთი პრიორიტეტია რეგიონისთვის.

მესათბურეობა, საკმაოდ შემოსავლიანი საქმიანობაა, რომელიც საკმაოდ დიდ ინვესტირებას მოითხოვს. მცხეთის მუნიციპალიტეტში შედარებით რბილი კლიმატური პირობები განაპირობებს სასათბურე მეურნეობების ზრდის ტენდენციას.

მცხეთის მუნიციპალიტეტში, მევენახეობის და მეხილეობის განვითარების დიდი ტრადიციები და პოტენციალია. ამ დარგში ერთ დროს ჭარბად წარმოებული პროდუქცია დღეისათვის იქცა დეფიციტურ საქონლად, რომელზეც მოთხოვნა ნაწილობრივ იმპორტის საშუალებით ხორციელდება. რეგიონულ დონეზე მიზანშეწონილია, შეიქმნას სანერგე მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მეხილეობის დარგის განვითარების სტიმულირებას.

მიუხედავად იმისა, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ყველა პირობა არსებობს **მესაქონლეობის** განვითარებისათვის, ამ პოტენციალის სრულად ათვისება ვერ ხდება. რეგიონში არ არის განვითარებული მესაქონლეობის ფერმერული მეურნეობა. მიუხედავად ამისა, მესაქონლეობის განვითარებას გააჩნია კარგი პერსპექტივები და საჭიროებს ინვესტიციების მოზიდვას. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მცხეთის მუნიციპალიტეტი ერთადერთი მუნიციპალიტეტია, სადაც შესაძლებელია რეკომენდაცია გავუწიოთ

„ჰოლმშტეინისა“ და „შულცის“ ძროხების მოშენებას, როგორც სარძევე, ასევე სახორცე და სანაშენე პირუტყვის გასამრავლებლად. თიანეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში, მიუხედავად საკმარისი საძოვრებისა, მიზანშეწონილია ადგილობრივი ხევსურული დაბალი ტანის ძროხების გამრავლება.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონს **მეცხვარეობის** განვითარების უდიდესი პოტენციალი აქვს. ამ რეგიონის სამ მუნიციპალიტეტში: ყაზბეგში, დუშეთსა და თიანეთში ოდითგანვე მისდევდნენ მეცხვარეობას. პოსტსაბჭოთა პერიოდში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დაახლოვებით 120 000 სული ცხვარი იყო აღრიცხული, თიანეთსა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში ცხვრის სულადობა 200 000 სულს აჭარბებდა. მნიშვნელოვან პრობლემად უნდა აღინიშნოს ზამთრის საძოვრები, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხავს მეურნეობების გაფართოების შესაძლებლობებს. სახელმწიფო უზრუნველყოფს მცხეთა-მთიანეთში შემავალი მუნიციპალიტეტებიდან კახეთისა და ქვემო ქართლის მიმართულებით ცხვრის გადასარეკი ტრასის ინფრასტრუქტურის შექმნას და მის გამართულ ფუნქციონირებას.

მეფრინველეობა ძირითადად განვითარებულია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სადაც 10-მდე ფერმერია. ფერმერულ მეურნეობებს წარმოების უწყვეტი ციკლი აქვთ მთელი წლის განმავლობაში. რეგიონის დანარჩენ მუნიციპალიტეტებში მეფრინველეობას მხოლოდ ოჯახურ მეურნეობებში მისდევენ არაკომერციული მიზნით. მეფრინველეობის განვითარების დიდი შესაძლებლობები აქვს თიანეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებს.

მეთევზეობის, კერძოდ კი სატბორე მეურნეობების მოწყობის, დიდი პოტენციალი აქვს რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს.

მეფუტკრეობა რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტშია განვითარებული. თაფლი გამორჩეულია სამკურნალო თვისებებით, რაც გამოწვეულია ხე-მცენარეებისა და ყვავილოვანი მცენარეების მრავალფეროვნებით.

მიზანშეწონილია ფერმერთა გადამზადების რეგიონული ცენტრის შექმნა. პროექტის ფარგლებში ასევე უნდა განიხილებოდეს სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობის, ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე საჭიროებების განსაზღვრის და საგანმანათლებლო პროგრამების საკითხები.

იმისათვის, რომ სასოფლო-სამურნეო ტექნიკაზე ხელი მიუწვდებოდეს ყველა მუნიციპალიტეტის ფერმერს, სახელმწიფოს მხრიდან იგეგმება მექანიზაციის ცენტრების სატრქტორო პარკის გაფართოება და სხვადასხვა სახის ტექნიკით შევსება.

იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ორგანოების მუშაობა გახდეს უფრო ეფექტიანი და გაიზარდოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობა, აუცილებელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების მოდერნიზაცია. მნიშვნელოვანია, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; ინტერნეტის, ბანკომატებისა და სწრაფი გადახდის აპარატების მეტი ხელმისაწვდომობა.

პროდუქციის ზრდა და სოფლის მეურნეობის განვითარება დიდადაა დამოკიდებული ასოციაციების, კოოპერაციებისა და ფერმერთა გაერთიანებების ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული გაერთიანებები უნდა შეიქმნას ფერმერთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

ცხრილი 10

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა

	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი		მათ შორის, ფური და ფურკამეჩი		ღორი		ცხვარი და თხა		ფრინველი, ფრთა	
	2005 1.04	2011	2005 1.04	2011	2005 1.04	2011	2005 1.04	2011	2005 1.04	2011
მცხეთა-მთიანეთი	57050	47116	41378	25806	25336	7262	58829	65947	133600	222817
დუშეთის მუნიციპალიტეტი	25270	18105	19480	10536	12145	2626	16279	25462	50300	50360
თიანეთის მუნიციპალიტეტი	10177	8977	7143	5248	6508	1046	3861	6095	28000	19617
მცხეთის მუნიციპალიტეტი	18011	15598	12400	7522	4813	2759	9584	4344	126000	150000
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	3592	4436	2355	2500	1870	831	29108	30046	7600	2840

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის ფაქტორული ანალიზი

ძლიერი მხარეები: • სახელმწიფოს მხარდაჭერა და სექტორის განვითარების შესაბამისი სტრატეგიის არსებობა; • ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და სოფლის მეურნეობის დარგში არსებული განსაკუთრებული, პრეფერენციული დაბეგვრა; • დედაქალაქთან (პოტენციურ ბაზართან) სიახლოვე; • სასოფლო-სამეურნეო მიწების ყიდვა და გაყიდვისა და რეგისტრაციის პროცესის სიმარტივე; • სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისათვის ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმები; • გადამამუშავებელი მრეწველობის არსებობა; • მეცხოველეობის დიდი ტრადიციები მაღალმთიან ადგილებში.	**სუსტი მხარეეები:** • ფრაგმენტირებული სასოფლო სამურნეო ნაკვეთები; • სახნავ-სათესი სავარგულების სიმწირე; • ფერმერების ნაკლები ინფორმირებულობა ტექნოლოგიებისა და ბაზრების შესახებ; • თანამედროვე ტექნოლოგიების და ჯიშების ცოდნის დაბალი დონე; • კვალიფიკაციური კადრების სიმცირე; • აგრარულ სესხებზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები; • რეგიონის ზოგიერთი ნაწილში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობა (გზა, ბუნებრივი აირი და ა.შ.); • სასოფლო-სამურნეო დაზღვევის სისტემის განვითარების დაბალი დონე.
შესაძლებლობები: • სასურსათო პროდუქციაზე არსებული მზარდი მოთხოვნა დედაქალაქში; • ტურიზმის განვითარება; • გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება; • წარმოებული პროდუქციის ექსპორტი.	**საფრთხეები:** • ბაზარზე არსებული კონკურენციის მაღალი დონე; • მოსახლეობის მიგრაცია სოფლებიდან ქალაქში; • ბუნებრივი კლიმატური კატაკლიზების დიდი ალბათობა.

გ) ტურიზმი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონს დიდი პოტენციალი გააჩნია ტურიზმის განვითარების სფეროში. ოთხივე მუნიციპალიტეტი გამოირჩევა დიდი ისტორიული წარსულით, ძეგლებით და ტრადიციებით. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქ. მცხეთა, რომელიც იუნესკოს ძეგლია. განსაკუთრებით საინტერესოა რეგიონის მთიანეთი, სადაც უდიდესი შესაძლებლობაა მნიშვნელოვნად განვითარდეს ეკოტურიზმი, სათავგადასავლო, აგროტურიზმი, სამთო და ტურიზმის სხვა სახეობები.

დღეისათვის ქ. მცხეთაში განლაგებულია რეგიონის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, სადაც ტურისტს შესაძლებლობა აქვს, ინფორმაცია მიიღოს მთელი რეგიონის ტურისტული მარშრუტებისა და სხვა სერვისების შესახებ. მნიშვნელოვანია რეგიონში ტურისტული საინფორმაციო ქსელის გაფართოება.

ტურიზმის სწრაფი ტემპით განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები. ამ ორი ტურისტული ობიექტისადმი ინტერესი ყოველთვის არსებობდა, რამაც განაპირობა სახელმწიფო და

ადგილობრივი პროექტების მათკენ მიმართვა. ქ. მცხეთაში და დაბა ყაზბეგში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული განაშენიანება და რეაბილიტაცია, რომლის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ტურიზმის განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი შემოსავლების გაზრდაა. რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულმა განვითარებამ განაპირობა ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მატება, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესის გაზრდა საოჯახო სასტუმროების მოსაწყობად.

რეგიონში დიდი ხვედრითი წილი უკავია რელიგიურ ტურიზმს. ქ.მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში არსებული საეკლესიო ძეგლების: ჯვრის, სვეტიცხოვლის, სამთავროს, გერგეტის სამების, დარიალის ხეობაში ახლად აშენებული ტაძრის მონახულება მომლოცველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

გარდა ისტორიული და ბუნების ძეგლების დათვალიერებისა, ტურისტების მზარდი ინტერესია ადგილობრივი ტრადიციების და კულტურის მიმართ, რომლის გაცნობის შეთავაზება ამ ეტაპზე დაბალ დონეზეა. ამ მხრივ, საჭიროა ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კონკრეტული კუთხის პოპულარიზაციას, ეს შეიძლება იყოს კულტურული და სხვა შემეცნებითი ღონისძიებები.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტ-კაფეების და ბანკომატების სიმცირე, ტურისტული რუკების და საინფორმაციო ბანერების არქონა, ტურისტული ბილიკების და სხვა ტურისტული შეთავაზებების მარკირების არარსებობა, საპიკნიკე და საკარვე ადგილების მოუწყობლობა.

რეგიონის ძირითადი და პოპულარული ტურისტული მარშრუტებია:

1. მცხეთა;
2. მცხეთა-შატილი-მუცო-არდოტი;
3. მცხეთა-ფშავი;
4. მცხეთა-როშკა-აბუდელაურის ტბები;
5. მცხეთა-ყაზბეგი;
6. მცხეთა-მთიულეთი.

ცხრილი 11

რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურა

დასახელება	დუშეთი	მ.შ., ხევსუ რეთი	თიანეთი	სიონი	მცხეთა	ყაზბეგი	გუდაური
სასტუმრო	23	11	3	1	24	14	23
მ.შ., საოჯახო		11			20	12	10
სავაჭრო ობიექტები	6		1	2	18	3	2
კვების ობიექტები	8		2	1	38	14	
მუზეუმი	3	2	2		2	1	
სველი წერტილები	4				5	4	
ბანკი	1		1		2	1	

ბანკომატი	2				6		
კავშირგაბმულობა	მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი	მაგთი	მაგთი, ჯეოსელი	მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი	მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი	მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი	მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი
ინტერნეტი	სილქნეტი		სილქნეტი		სილქნეტი	მაგთიფიქსი	
ბენზინგასამართი სადგური	4				3	1	1
ავტოსადგური	1		1		1	1	
ვაგზალი					1		
აეროდრომი					1		
მარკირებული ტურბილიკი					2		

რეგიონს უდიდესი პოტენციალი აქვს, იყოს ბრენდი ტურიზმის ნებისმიერ სფეროში: კულტურული, არქეოლოგიური, აგრო და ეკოტურიზმი, ბიზნესტურიზმი, სამთო ტურიზმი, ფარმატურიზმი, რელიგიური ტურიზმი, საკურორტო-რეკრეაციული, ფოლკლორული ტურიზმი და სხვა. ტურიზმის სფეროში მიზანშეწონილია ლიტერატურული ტურების განვითარება.

დ) სოციალური განვითარება, მათ შორის, ჯანმრთელობა, განათლება, სოციალური მდგომარეობა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სოციალური ინფრასტრუქტურა შედგება როგორც საბჭოური დროიდან შემორჩენილი, ისე ბოლო ათწლეულში რეაბილიტირებული და ახლად აშენებული ობიექტებისაგან. სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროებია: ჯანდაცვა, სკოლამდელი აღზრდა და საბაზისო განათლება, უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის (სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური პროგრამებით განსაზღვრული ბენეფიციარები), სკოლა-პანსიონები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, მუსიკალური სკოლები, სპორტული სკოლები, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატები და თავშესაფრები.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში რეგიონის მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას უწევდა ქ. თბილისში განლაგებული ჯანდაცვის ობიექტები. 2011 წლის დასასრულს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოხდა „ჯი-პი-აი ჰოლდინგის" მიერ ოთხივე მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული და მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიებით აღჭურვილი საავადმყოფოების გახსნა. კომპანიის მიერ მიმდინარეობს კვალიფიციური კადრის მოზიდვა და მათი გადამზადება. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა, ჯანმრთელობის დაზღვევის, რეფერალური და სხვა სოციალური პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, ისე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამიზნე ჯგუფების დახმარებას. რეგიონებში ფუნქციონირებს ოთხი სასწრაფო დახმარების სადგური,

რომლებიც, მომსახურების არეალის რთული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მუდმივად საჭიროებენ სატრანსპორტო ტექნიკის განახლებას.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, საზოგადოებრივ ჯანდაცვას რეგიონში უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირები. მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა პროგრამული ხასიათისაა და ძირითადად პრევენციულ ღონისძიებებზეა მიმართული.

საარსებო შემწეობის გარდა, მუნიციპალიტეტების მიერ ხორციელდება ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა და აგრეთვე სოციალური ჭრის ფარგლებში სამშენებლო ხე-ტყის გაცემა, მოსახლეობის უზრუნველყოფა სამშენებლო მასალებით .

დედათა და ბავშვთა დაცვის კუთხით აღსანიშნავია სააღმზრდელო დაწესებულებების (ბავშვთა სახლები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები), ასევე ეკლესიასთან არსებული სხვა დაწესებულებების ბენეფიციართა დახმარება.

ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსებით რეგიონში ფუნქციონირებს უფასო სასადილოები მზრუნველობამოკლებულთათვის, რომლებიც ემსახურება 210 ბენეფიციარს.

განათლება

ადგილობრივი თვითმმართველობები ცდილობენ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადონ განათლების სფერო საბავშვო ბაღებში, სამუსიკო სკოლებსა და სპორტულ სკოლებში. სადაც გადასახადიც მიზერულია და მათ სუბსიდირებას ახორციელებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.

ცხრილი 12

საგანმანათლებლო დაწესებულებები

	საჯარო სკოლა	სკოლამ-დელი აღზრდის დაწესებუ-ლება	სამუსიკო სკოლა	ბიბლიოთეკა	სასპორტო სკოლა
დუშეთის მუნიციპალიტეტი	38	13	3	4	1
თიანეთის მუნიციპალიტეტი	13	13	1	12	1
მცხეთის მუნიციპალიტეტი	29	19	3	29	3
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	8	7			2

ტრანსპორტი

ცხრილი 13

მუნიციპალიტეტი	ადგილობრივი გზის სიგრძე (კმ)					
	მთლიანად	მათ შორის:				
		ცენტრალური	შიდასაუბნო	ასფალტიანი	გრუნტიანი	ბეტონის
მცხეთა	508.0	169.0	339.0	141.1	365.1	1.8
თიანეთი	343.2	160.0	183.2	7.3	335.9	-
დუშეთი	442.7	307.1	135.6	52.6	390.1	-
ყაზბეგი	157.8	135.4	22.4	6.8	151.0	-

სატრანსპორტო არტერიებია – დუშეთი-თბილისი, გუდაური-თბილისი. მგზავრთა გადაყვანა ძირითადად მიკროავტობუსით ხორციელდება.

ფუნქციონირებს დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ავტოსატრანსპორტო საწარმო 2006", რომელშიც გაერთიანებულნი არიან მძღოლები, როგორც ინდმეწარმეები. ბოლო ოთხ წელიწადში გადაყვანილია დაახლოებით 900 000 მგზავრი.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების შემდეგი სახეებია: თიანეთი-თბილისი – 78 კმ, თიანეთი-ახმეტა 30 კმ, თიანეთი-მცხეთა – 42 კმ.

მცხეთის მუნიციპალიტეტში სარკინიგზო მაგისტრალის სიგრძე შეადგენს 26 კმ-ს.

დიაგრამა 9

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი მაჩვენებელი 2011 წელს



დუშეთის მუნიციპალიტეტში მრეწველობა ემყარება ადგილობრივ ენერგეტიკულ და სასოფლო-სამეურნეო რესურსებს. მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი ობიექტია ჰიდრო-ელექტროსადგური „ჟინვალჰესი", რომელიც 1984 წლიდან ფუნქციონირებს, ტერიტორიაზე მდებარეობს ამიერკავკასიაში პირველი ჰიდროელექტროსადგური – ზაჰესი. მდინარეების დეტალური აღწერილობა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პერსპექტივაში აშენდეს მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოციალური ინფრასტრუქტურის ფაქტორული ანალიზი

ძლიერი მხარეები • საავადმყოფოების რაოდენობა და სათანადო ტექნიკური აღჭურვა დამაკმაყოფილებელია ყველა მუნიციპალიტეტში; • მიმდინარე სახელმწიფო რეფორმა ჯანდაცვის სფეროში; • სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ჯანდაცვის პროგრამები; • სამედიცინო განათლებისადმი მოსახლეობის ისტორიულად მზარდი ინტერესი; • სამკურნალო ფიტო მედიცინის დიდი შესაძლებლობები; • სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტად არსებობა; • სახელმწიფოს მზარდი მხარდაჭერა სკოლების რეაბილიტაციის მიმართ; • მოწესრიგებული ავტოსადგურები; • მოწესრიგებული შიდა და ცენტრალური გზები.	**სუსტი მხარეები** • ამბულატორიების შენობები და ტექნიკური აღჭურვა რეგიონის მასშტაბით არადამაკმაყოფილებელია; • მოძველებული და ამორტიზებული ტრანსპორტი; • რეგიონის ყველა ადგილი უზრუნველყოფილი არ არის ტრანსპორტით.
შესაძლებლობები • ჯანდაცვის მაღალი ხარისხის სისტემის განვითარება; • მუნიციპალიტეტის დონეზე მაღალი ტექნოლოგიების წყლის და ჰაერის ლაბორატორიების არსებობა. მუდმივი მონიტორინგი; • სატრანსპორტო სისტემის განვითარება; • შიდა და ცენტრალური გზების რეაბილიტაცია; • სოციალური დაცვის გაუმჯობესება.	**საფრთხეები** • სტიქიური მოვლენები; • საწვავის ღირებულების ზრდა

ე) ბუნებრივი რესურსების მართვა და გარემოს დაცვა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მდიდარია მინერალური, წყლის, ენერგეტიკული, ტყის, სამშენებლო მასალების, მათ შორის, ძვირფასი მოსაპირკეთებელი ქვის, რესურსებით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტყიანობა შეადგენს 39%, ანუ 264,4 ათას ჰექტარს. ტყეების დიდი ნაწილი განლაგებულია მკვეთრი დაქანების ფერდობებზე და ასრულებენ უაღრესად მნიშვნელოვან სოციალურ დაცვით (ნიადაგდაცვით, წყლის შემნახველ-მარეგულირებელ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, რეკრეაციულ, ქარდაცვით და სხვა) ფუნქციებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტყე სუფთა ჰაერის რეზერვუარია და ქმნის საკურორტო და ეკოლოგიურად სუფთა მიკროკლიმატს, რაც გამორჩეულს და მიმზიდველს ხდის რეგიონს. ტყის რესურსით განსაკუთრებით გამორჩეულია დუშეთის და თიანეთის მუნიციპალიტეტები. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარე სატყეო უბნები მოქცეულია ყაზბეგის ეროვნული პარკის ფარგლებში, ხოლო ქ. მცხეთის სატყეო ზონის ნაწილი – თბილისის ეროვნულ პარკში. გარდა იმისა, რომ ტყე ბუნებრივი რესურსია, იგი მნიშვნელოვანი ფაქტორია რეგიონში სოფლის მეურნეობის, რეკრეაციულ-საკურორტო და ტურიზმის განვითარებისთვის.

განსაკუთრებით გამოიყოფა წყლის რესურსები, რომელიც რეგიონის ეკონომიკური განვითარების ძირითადი საფუძველია. მის გარეშე წარმოუდგენელია სოფლის მეურნეობის, მრეწველობის ან სხვა რომელიმე დარგის განვითარება. წყლის ობიექტები წარმოდგენილია ტბებით, წყალსაცავებით, მდინარეებით, მყინვარებით და მიწისქვეშა წყლებით. მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმის მოსაწესრიგებლად, ირიგაციული, სასმელ-სამეურნეო მიწოდებისათვის შექმნილი ჟინვალის, სიონის, ნარეკვავის, ზაჰესის წყალსაცავები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონში. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვს მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას აღნიშნულ სფეროში ინფრასტრუქტურის და წყლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

წყლის რესურსებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მტკნარ, მიწისქვეშა წყლებს. ისინი ყოველწლიურად განახლებადია და გამორჩეულია სისუფთავით და დებეტის მუდმივობით. ამ წყლებით შესაძლებელია სასმელ-სამეურნეო წყალზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება და ჭარბი რესურსის მიღება. ადგილზე ფორმირებული წყლის რესურსების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით (112 მმ) ხასიათდება მცხეთის მუნიციპალიტეტი, ხოლო მაღალი მაჩვენებლით – ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (730 მმ). მიუხედავად ამისა, სასმელი წყლის წარმოებით გამორჩეულია მცხეთის მუნიციპალიტეტი, იგი ქ. თბილისის სასმელი წყლის ძირითადი დონორია, რომლის მწარმოებელია **GWP.** მუხრანის ველის ჭაბურღილების ლიცენზიატია „გეო“, „სნო“, „ნატახტარი“, „ზედაზენი“, „შატო მუხრანი“ და სხვა მსხვილი საწარმოები.

რაც შეეხება მინერალურ წყლებს, ისინი ოთხივე მუნიციპალიტეტშია გამოვლენილი და მათი დაახლოებით 115 წყაროა. წყლები გამოირჩევა ქიმიური შემადგენლობის მრავალფეროვნებით. მათი უმრავლესობის გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას იძლევა, მათ ბაზაზე აშენდეს კურორტები და ჩამოსასხმელი საწარმოები.

მდინარე მტკვარი, არაგვი, თერგი – ეს ის მაღალი ენერგიის მქონე სამდინარო არტერიებია, რომლებზეც თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი ქვეყნის მასშტაბით ჰიდროენერგეტიკული რესურსების საბადოებია. მდინარე მტკვარზე აგებული ზაჰესის ჰიდროელექტროსადგური, არაგვზე აშენებული ჟინვალჰესის ჰიდროკვანძი – ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი დანიშნულების ობიექტებია. ენერგეტიკულ სფეროში პრიორიტეტულია მცირე ჰესების მშენებლობა. ენერგიის გამომუშავების წარმადობის გაზრდა ასევე შესაძლებელია ბიოგაზის, რეგიონში არსებული ჰელიო და ქარის ენერგეტიკული რესურსით, რაც განაპირობებს ნაკლებად დასახლებული პუნქტების გამანაწილებელი ქსელის გარეშე ელ. მომარაგებას.

მდინარე არაგვის სისტემა განაპირობებს ინერტული მასალების ქსელურ განვითარებას. ქვიშა-ხრეშის მოპოვებით მოწინავეა დუშეთის და მცხეთის მუნიციპალიტეტები. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა სახის ქვის საბადოებით: სხვადასხვა ფერის გრანიტის, მწვანე და ყავისფერი დიაბაზის, ტუფის ქვის და ა.შ. აღნიშნული საბადოების ექსპლუატაცია მოითხოვს ინვესტირებას და ინფრასტრუქტურულ დახვეწას, რამაც უნდა განაპირობოს მათი მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენება.

რეგიონში დღეისათვის ერთი დაცული ტერიტორიაა – ყაზბეგის ეროვნული პარკი. მის ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო. გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან ხელმოწერილია ხელშეკრულება პარკის ინვესტირების შესახებ. მოეწყობა პარკის ინფრასტრუქტურა, აშენდება ვიზიტორთა და რეინჯერთა სახლები, მოხდება ზონირება. ტრადიციული გამოყენების ზონაში დაგეგმილია სოციალური პროექტები. ეროვნული პარკის გაფართოება, მის მმართველობასა და საქმიანობაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა განამტკიცებს პირველადი ეკოსისტემების დაცვას, მისი რესურსების გეგმაზომიერ გამოყენებას, ეკონომიკური თვალსაზრისით კი – ხელს შეუწყობს ეკოტურიზმის განვითარებას. ამჯერად მიმდინარეობს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიის შექმნის გეგმარება. ბუნების დაცვის გარდა, იგი ეკონომიკურად გაძლიერების შანსი იქნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, შეჩერდება მიგრაციული პროცესები, განვითარდება ეკოტურიზმი, შეიქმნება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი პროდუქციის გასაღების შესაძლებლობები.

რეგიონი განსაკუთრებით მდიდარია ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით. აღსანიშნავია ენდემური სახეობების და ჯიშების სიმრავლე. მათი დაცვა და კვლავწარმოება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში მოწყობილი ნაგავსაყრელების მდგომარეობა არასახარბიელოა. ვერ ხდება მათი სათანადო სანიტარიული დამუშავება და გაუვნებელყოფა. არასაკმარისია ნარჩენების შემგროვებელი ავტომანქანები და ბუნკერები.

აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიაზე ზემოქმედების ნაკლები ხვედრითი წილი მოდის რეგიონში არსებულ მსხვილ საწარმოებზე. წარმოების დიდი მოცულობა და ინვესტიცია მათ საშუალებას აძლევს, საწარმოები აღჭურვონ თანამედროვე ტექნოლოგიების გამწმენდი

ნაგებობებით, მოახდინონ ნარჩენების მეორადი გადამუშავება და გამოყენება. მეტი საფრთხე მოდის მცირე და საშუალო ბიზნესის მეწარმეების და მოსახლეობის მხრიდან, რომელთაც არ გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობები, სათანადო დონეზე უზრუნველყონ ნარჩენების მართვა და გაუვნებელყოფა.

რეგიონში მრავლადაა მეწყერული და ეროზირებული უბნები. საჭიროა არსებული მდგომარეობის შესწავლა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ეკომიგრანტებისათვის ადგილმონაცვლეობა და უსაფრთხო ადგილას გადაყვანა.

რეგიონის მიზანს წარმოადგენს, იყოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მწარმოებელი, ტურიზმის და საკურორტო-რეკრეაციული მხარე.

ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის ფაქტორული ანალიზი

ძლიერი მხარეები • რეგიონში ტყის მასივის დიდი წილი და პირველადი ტყის ეკოსისტემა; • არსებული დაცული ტერიტორიები; • ჰიდრორესურსების სიუხვე; • ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნება; • ნაგავსაყრელების არსებობა და ეკოლოგიურად საშიში ქიმიური, სამედიცინო და სხვა ორგანული ნარჩენების დაბალი ხვედრითი წილი; • ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა.	**სუსტი მხარეები** • გაჩეხილი ქარსაცავი და დაზიანებული მწვანე ზონის ტყეები; • კერძო სექტორის ჩართულობის ნაკლებობა; • ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვითი ურთიერთობების არარსებობა; • საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე; • მოსახლეობის ჯერ კიდევ დაბალი სოციალური დონე; • ნარჩენების არამდგრადი მართვა; • ნაგვის შემგროვებელი ტექნიკის არასაკმარისი ოდენობა; • ნარჩენების მართვასა და გადამუშავებაში ინვესტორების ნაკლები ინტერესი.
შესაძლებლობები • ტყის რესურსების ეფექტიანი გამოყენება; • არასამთავრობო სექტორის უფრო მეტი ჩართულობა; • რეგიონულ დონეზე ტყის ხანძრების პრევენციისა და მართვის პროექტების შედგენა; • ქარსაცავი ზოლების და მწვანე ზონის ტყეების აღდგენა; • საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება; • მაღალპროდუქტიული მთის სათიბებისა და საძოვრების მდგრადი მართვის ღონისძიებები; • ნარჩენების მართვის ინსტიტუციური სრულყოფა; • ეკოტურიზმის განვითარება.	**საფრთხეები** • ხშირი სტიქიური მოვლენები; • გლობალური დათბობა; • ინფექციების წარმოშობისა და გავრცელების შესაძლებლობები.

4. რეგიონის განვითარების ხედვა, მიზნები, ამოცანები, პრიორიტეტები, ინდიკატორები და რეგიონის განვითარების წინადადებები

შრომის ბაზრის განვითარება

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შრომის ბაზრის სფეროში არსებული პრობლემების დაძლევა წარმოადგენს რეგიონის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს. კერძოდ, ეს მიზანია სამუშაო ადგილების მიწოდებასა და მოთხოვნას შორის დისბალანსის შემცირება. ამ მიზნის მიღწევა პირდაპირ კავშირშია განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროების განვითარებასთან.

ადამიანური რესურსების განვითარება

შრომის ბაზარზე რეგიონის მოსახლეობის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, საჭიროა კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებებსა და პროგრამებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს მიზნობრივი პროგრამები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

მოსახლეობის მოტივაციისა და ცოდნის ასამაღლებლად, ასევე უნარ-ჩვევების გასავითარებლად რეგიონისათვის პრიორიტეტულ სფეროში გამოყენებული უნდა იქნეს სხვადასხვა ხელშემწყობი, მათ შორის, მედია საშუალებები, უნდა შეიქმნას მონაცემთა ბაზა და უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო ინფორმაციის (სამუშაო ადგილის მოძიების ხელშეწყობისათვის) მოსახლეობამდე მიტანა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონისათვის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა (თვითდასაქმებულთა) და სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

სოფლის მეურნეობის განვითარება

მცხეთა-მთიანეთის მხარის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში არსებული თითოეული ჰექტარი მიწის რაციონალურად გამოყენებას, მათი ნაყოფიერების შენარჩუნებასა და სისტემატურ ამაღლებას. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაზრდის პრობლემის გადაწყვეტილებისათვის, წარმოების ინტენსიფიკაციასთან ერთად, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ახალი მიწის ჩართვა.

მიწის რესურსის ხარისხის ამაღლებისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭირო ნიადაგური და აგროქიმიური კვლევების ჩატარება და მათი ხარისხის ამაღლება.

სასოფლო-სამეურნეო მიწების ხარისხობრივი ანალიზის ბაზაზე აუცილებელია მიწების ნაყოფიერების ამაღლების კომპლექსური განახლება, ასევე მორწყვის პროგრესული მეთოდების ფართო დანერგვა, რაც შესაძლებელია სხვა ღონისძიებებთან ერთად ინვესტიციების მოზიდვითა და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებით.

საჭიროა შემუშავდეს ოპტიმალური სქემა ძველი სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციისა და სრულყოფისათვის.

რეგიონის ბუნებრივი პირობებისა და მეურნეობის თავისებურებებიდან გამომდინარე, აუცილებელია სტიქიური მოვლენების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება მეწყერ- და ღვარცოფსაშიშ ზონებში, ნიადაგის ეროზიისგან დაცვა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება.

მეცხვარეობის განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საძოვრების გონივრულ (სწორ) გამოყენებას. სათიბ-საძოვრების ხარისხის ეტაპობრივი გაუმჯობესების მიზნით სათანადო სამუშაოების ჩატარება. უნდა მოწესრიგდეს ცხვრის გადასარეკი ტრასები.

ფართოდ უნდა განვითარდეს მეღორეობა იმ ადგილებში, სადაც დიდია მსხმოიარე ტყის მასივები.

მცხეთა-მთიანეთის მთელ რეგიონში წყლის რესურსების შედარებითი სიმცირისა და მათზე მზარდი დატვირთვის გამო აქტუალურია წყლით დეფიციტური ზონებისათვის დამახასიათებელი წყალ-სამეურნეო პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს წყლის რესურსების მოხმარების კონტროლს.

სოფლის მეურნეობის რეგულირებისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასოფლო- სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, სიღარიბის დაძლევა და მიგრაციული პროცესების შენელების მიზნით დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა და სოფლად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ამისათვის აუცილებელია:

- განხორციელდეს ღონისძიებები ინვესტიციების მოსაზიდად;
- ხელი შეეწყოს მრავალპროფილიანი გადასამუშავებელი საწარმოების შექმნასა და განვითარებას, რისთვისაც საჭიროა საწარმოო ტექნიკური ბაზის გადაიარაღება და თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზებით აღჭურვა;
- შეიქმნას თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მქონე აგრო- და ფერმერული მომსახურების სერვისცენტრები.

ტურიზმის განვითარება. ტურიზმის ეფექტიანი მენეჯმენტი

მცხეთა-მთიანეთის მხარის ბუნებრივი პირობები, ბუნებრივი ძეგლები, ისტორიულ-არქიტექტურული, კულტურული და სხვა ღირსშესანიშნაობები მნიშვნელოვან პოტენციალს წარმოადგენს ტურიზმის განვითარებისათვის. არსებული ბუნებრივი და კულტურული აქტივების გათვალისწინების საფუძველზე, მხარისათვის ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებთან (ეკოტურიზმი, რელიგიური და სამთო ტურიზმი) ერთად, პერსპექტიულია ასევე ტურიზმის სხვა სახეობების (დასვენების, სათავგადასავლო, სპორტული, სასოფლო, სამკურნალო და სხვა) განვითარებაც.

რეგიონის ბუნებრივ-რეკრეაციული და საკურორტო რესურსები საშუალებას იძლევა მხარეში განვითარდეს შიდა და საერთაშორისო ტურიზმი.

მცხეთა-მთიანეთის ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია:

- მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნა;
- ტურისტული პროდუქტის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- ველური ბუნების, კულტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადობის შენარჩუნება;
- ტურიზმის სფეროში კადრების მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა და ამ მიზნით ტრენინგების ჩატარება;
- სფეროს განვითარების ინსტიტუციური ხელშეწყობა რეგიონების დონეზე;

- ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით;
- ტურისტული პოტენციალის შესწავლა, აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა;
- მთის უმწვავესი პრობლემის, ადგილობრივი მოსახლეობის ბარში მიგრაციის შეჩერება და პირობების შექმნა მათი უკან დასაბრუნებლად.

მხარეში ტურიზმის განვითარებისათვის მიზანშეწონილია ისეთი კლასტერული სისტემების შექმნა, რომლებიც გააძლიერებს კონკურენციას ფირმებს შორის, განავითარებს ინოვაციებს ტურიზმში და შექმნის სამუშაო ადგილებს.

რეგიონში ტურიზმის ეფექტიან მენეჯმენტს ხელს შეუწყობს რეგიონული ტურისტული ცენტრების შექმნა-განვითარება.

მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნა და რეგიონის რეკლამირება

საჭიროა ტურისტული მარშრუტების შექმნა-განახლება: კულტურული, სათავგადასავლო, სამკურნალო, რელიგიური, აგრო-, ეკო-, სპორტული და სხვა ტურების ორგანიზება.

ხელი უნდა შეეწყოს სხვადასხვა სახის და მასშტაბის ტრადიციული სპორტული დღესასწაულების, შეჯიბრებების, ფოლკლორული ფესტივალების, კონკურსების, ოლიმპიადების აღდგენა-განვითარებას, რაც განაპირობებს დიდი რაოდენობით ტურისტთა მოზიდვას და შესაბამისად, შემოსავლების ზრდას.

სარეკლამო-საინფორმაციო სფეროში ხელი უნდა შეეწყოს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, რაც აამაღლებს უცხოური ტუროპერატორებისა და ტურისტების მოტივაციას საქართველოსთან მიმართებაში.

მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნას ხელი უნდა შეეწყოს სხვადასხვა ღონისძიებებით, კერძოდ: შეიქმნას ვებგვერდი, გაკეთდეს ბანერები, მომზადდეს და გავრცელდეს რუკები, გზამკვლევები, ბროშურები და სარეკლამო რგოლები, მოეწყოს ტურისტული გამოფენები.

ხელი უნდა შეეწყოს ასევე ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრების ქსელის გაფართოებას.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ტურიზმის ხელშეწყობისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

უნდა მოწესრიგდეს კურორტები და დასასვენებელი ზონები, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები და სხვა ისტორიულ-კულტურულ ღირსშესანიშნაობები, ასევე მათთან მისასვლელი გზები.

საჭიროა ტურისტთა დაბინავების ადგილებისა და კვების ობიექტების მოწყობა საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

მომსახურების მაღალი დონის უზრუნველყოფა

ტურიზმის სფეროში მომსახურების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ტურისტების საბანკო მომსახურებით უზრუნველყოფა, ბანკების დაინტერესება ბანკომატების განთავსებით;
- ტურისტული მარშრუტების შემუშავება-განვითარება რელიეფისა და ადგილმდებარეობის შესაბამისად;
- ტურისტული მომსახურების ობიექტებში მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელება. ტრენინგების ჩატარება ტურისტულ სფეროში დასაქმებულთათვის.

რეგიონის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა

კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისათვის საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ინსტიტუციური მოწყობის შემდგომი სრულყოფა.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება

ალტერნატიული ენერგორესურსების გამოყენება (ქარი, ჰელიოსისტემა, ბიოგაზი)

მრავალწლიანი გაზომვების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ მცხეთა-მთიანეთის ვაკე და მთისწინა ზონები ფლობენ გაცილებით დიდ ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს, ვიდრე რეგიონის საშუალომთიანი და მაღალმთიანი ადგილები.

მაღალმთიან ადგილებში ზაფხულის პერიოდში ორთოგრაფიული ღრუბლიანობის ხშირი განმეორებადობისა და ზამთრის პერიოდში დაბალი ტემპერატურის გამო ნაკლებად ხელსაყრელია მზის ენერგიის ასათვისებლად მზის თბური კოლექტორების გამოყენება. ასეთ ადგილებში მიზანშეწონილია მზის ენერგიის ელექტროენერგიად პირდაპირი გარდაქმნის ნახევრადგამტარიანი პანელების გამოყენება.

მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში (სადაც მზის ენერგიის გამოყენების მაღალი შესაძლებლობებია) მიზანშეწონილია თანამედროვე მზის თბური კოლექტორების გამოყენებით ცხელი წყალმომარაგების სისტემების შექმნა, რის შედეგადაც შეიძლება მიღწეულ იქნეს სათბობის მნიშვნელოვანი ეკონომია.

რეგიონის ენერგეტიკულ ბალანსში მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია შეიტანოს ბიოგაზის მიღების ტექნოლოგიის დანერგვამ, რისთვისაც შეიძლება გამოყენებული იყოს მცენარეული და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ნაკელი და სხვა. ბიოგაზის გამოყენების შედეგად მიღებული ორგანული სასუქი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ტყის რესურსების დაზოგვას.

ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა და კვალიფიციური კადრების მომზადება.

ჰიდრორესურსების გამოყენება

სარწყავი სისტემების ექსპლუატაციის არასასურველი შედეგების ასაცილებლად უნდა გატარდეს შიდასამეურნეო ქსელების რეკონსტრუქციის ღონისძიებები. სადრენაჟო კოლექტორული ქსელის გაყვანა. დიდი დახრილობის მქონე ფართობების გადაყვანა ხელოვნურ დაწვიმებაზე, არხების მოპირკეთება წყალშეუღწევადი მასალებით და რკინაბეტონის ღარების გამოყენება. ეს ღონისძიებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სარწყავი მასივების მელიორაციულ მდგომარეობას.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების ძირითად მიმართულებებად უნდა განისაზღვროს:

- სეზონური რეგულირების წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობა, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება ზამთარში დეფიციტური ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდა;
- კომპლექსური ჰიდროკვანძების აგება, რომელთა საშუალებებით შესაძლებელი იქნება ზამთარში დეფიციტური ელექტროენერგიის გამომუშავება;
- მცირე ჰესების მშენებლობა;
- ჰესების მშენებლობისას შესაბამის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული უნდა იქნეს სათანადო ხარჯები, რომლებიც მოხმარდება გარემოს დარღვეული ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენას. ამასთან, ეს დარღვევა უნდა ექვემდებარებოდეს აღდგენას გონივრული მატერიალური და ფინანსური სახსრების ფარგლებში.

მინერალური და მტკნარი წყლების გამოყენება

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში აღწერილი წყაროების ნაწილს აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, დიდი დებეტი და სამკურნალო თვისებები, რაც იძლევა საშუალებას, მათ ბაზაზე აშენდეს კურორტები და ჩამოსასხმელი ქარხნები.

ზოგიერთი მინერალური წყარო მდიდარია ნახშირორჟანგით, მათი დებეტი საკმაოდ დიდია და შესაძლებელია მათგან ნახშირორჟანგის მოპოვება.

ზოგიერთი წყარო შეიცავს ბრომს და იოდს, მათი მოპოვება პერსპექტიულია.

წყაროების ნაწილი ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი და აღრიცხული, საჭიროა დეტალური გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება.

სამკურნალო მცენარეების გამოყენება

საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა სამკურნალო მცენარეების პირველადი გადამუშავების მიზნით. გარდა ამისა, უნდა მომზადდეს შესაბამისი კვალიფიციური კადრი და განხორციელდეს საზოგადოებასთან სათანადო ურთიერთობები.

5. მონიტორინგის ცხრილი

№	შესასრულებელი სამუშაოები/ღონისძიებები	2012		2013		2014		2015	
		I-VI	VII-XII	I-VI	VII-XII	I-VI	VII-XII	I-VI	VII-XII
1	მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზის რეაბილიტაცია (ეტაპობრივი)								
2	ბაგიჭალა-დუშეთის-არაგვისპირის გზის 10 კმ რეაბილიტაცია								
3	ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევის-გორის საავტომობილო გზის მე-9 კმ-ზე არსებული მილის რეაბილიტაცია								
4	გუდაურის ტერიტორიაზე საგზაო, საკანალიზაციო და გარე განათების მოწყობა								
5	საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის მე-40 კმ-ზე არსებული ხიდის პრევენციული ღონისძიებები								
6	თბილისი-თიანეთის ს/გზის 132 კმ-ზე გველეთის ხიდის მშენებლობა								

7	მცხეთა-შიო მღვიმის მონასტრის ს/გზის 5კმ-11კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია								
8	ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზაზე გვირაბის მშენებლობა								
9	საზოგადოებრივი ტუალეტების მშენებლობა დუშეთში								
10	ქ. დუშეთში წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია-პროექტირება- მშენებლობა								
11	დუშეთში სათავე ნაგებობებისა და მაგისტრალის მშენებლობა								
12	დაბა თიანეთში სანიაღვრე არხების მოწყობა 3800 მ								
13	მცხეთის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა								
14	წეროვნის ჩასახლებაში გზების რეაბილიტაცია								
15	ქ. დუშეთში ღვარცოფებისაგან დაზიანებული ქუჩების აღდგენა, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ახლიდან მოწყობა								
16	მცხეთაში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გზების მოწყობა								
17	ქ. დუშეთში ხევის ნაპირსამაგრების მოწყობა და ხევზე დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია								
18	კოტეჯურ დასახლებაში განსახორციელებელი სამუშაოები								
19	მცხეთაში, მდინარე არაგვზე ხიდის მშენებლობა								
20	სკოლების რეაბილიტაცია (დუშეთი, თიანეთი, მცხეთა, ყაზბეგი)								
21	სასათბურე მეურნეობების განვითარება (მცხეთა, წეროვანი)								
22	დაწვიმების სისტემის გამართვა 350 ჰა-ზე (ჩარდახი)								
23	გაყინული ხილისა და ბოსტნეულის წარმოება (ნატახტარი)								
24	დაავადება თურქულზე პროფილაქტიკური ვაქცინაცია								
25	ლამი-მისაქციელის არხის რეაბილიტაცია და გამანაწილებელი გ-6-ისა და გ-8-ის რეაბილიტაცია								
26	არაგვის, ლარსის, დარიალის ჰესების მშენებლობა								
27	გამრიცხველიანება დუშეთში – 6488 აბონენტი, ყაზბეგში – 2 სოფელი, 26 სოფელი მცხეთა – 4810 აბონენტი, თიანეთში – 1416 აბონენტი								

28	გაზიფიკაცია მცხეთის – 1 სოფელი, დუშეთის – 5 სოფელი, დაბა თიანეთი								
29	რუსთავი-თელევი-ყინვალის 25 კმ-იანი გაზსადენის მშენებლობა								
30	თიანეთში კულტურის სახლის აპარატურით აღჭურვა								
31	ყველა მუნიციპალიტეტში ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით და საოფისე ტექნიკით აღჭურვა								
32	ფუძნარის რესტავრაცია								
33	ჯვრის მონასტრის რესტავრაცია								
34	ბზიანას სარესტავრაციო სამუშაოები								
35	ოძისის სარესტავრაციო სამუშაოები								
36	სტეფანწმინდის მუზეუმის რემონტი								
37	ანანურის სარესტავრაციო სამუშაოები								
38	არმაზის ღვთისმშობლის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები								

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1688 2012 წლის 5 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს პარლამენტის აპარატმა საოფისე მანქანებისა და კომპიუტერული მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ივანე მერაბიშვილი**

გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა